ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2019 წლის 21 მარტის სხდომის

ოქმი N 2

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019 წლის 21 მარტს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 39 წევრი, სხდომას ესწრებოდა 30.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა
2. ქიმია-ბიოქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება
3. ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება
4. სან დიეგოს საკომპენსაციო სახსრებიდან ინფრასტრუქტურული ხარჯების გაწევის შესახებ
5. აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარები
6. მიმდინარე საკითხები.

1.1. მოისმინეს: დღის წესრიგის პირველი საკითხი - საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თამარ ჭელიძემ. მან განსახილველად გამოიტანა ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში. მან ისაუბრა იმის შესახებ რომ საბაკალავრო პროგრამაში „გეოგრაფია“, „სამაგისტრო პროგრამაში „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება“ და სადოქტორო პროგრამაში „გეოგრაფია“ შევიდა ცვლილებები ამ პროგრამების მონიტორინგის შედეგად მიღებული ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. (იხ. დანართი 1.1).

1.2. მოისმინეს: შემდეგ ქ-მა თამარმა ისაუბრა ცვლილებებზე „ფუნდამენტური ფიზიკის“ სამაგისტრო პროგრამასა და „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური

დაგეგმარების“ სამაგისტრო პროგრამაში. კერძოდ, ცვლილება შეეხება უკანასკნელი პროგრამის მოდულს „ლანდშაფტური დაგეგმარება“ (იხ. დანართი 1.2).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი ცვლილებები საგანმანათლებლო პროგრამებში (იხ. დანართები 1.1-1.2).

2. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქიმია-ბიოქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. პროგრამები ქართულ და ინგლისურ ენებზე წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართები 2.1-2.2). ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ პროგრამა მომზადებულია სან დიეგოს უნივერსიტეტის მხარდაჭერით ამერიკის ქიმიკოსთა საზოგადოების (ASC) და ქართული აკრედიტაციის მისაღებად. შემდეგ მან სიტყვა გადასცა პროგრამის ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორ გ.ჯიბუტს, რომელმაც მოკლედ ისაუბრა პროგრამის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ჩვენთან მოქმედი საკვალიფიკაციო ჩარჩოს გამო პროგრამას სახელი შეეცვალა. პროგრამის ახალი სახელია ქიმიის საბაკალავრო პროგრამა, ხოლო მისანიჭებელი კვალიფიკაციაა ქიმიის ბაკალავრი. ბატონმა გ.ჯიბუტმა ამასთან შენიშნა, რომ პროგრამის დაგზავნილ ვერსიაში შევიდა შესწორება.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ნ.კოტრიკაძემ აღნიშნა, რომ პროგრამაში ფიგურირებს საგანი „უჯრედული და მოლეკულური ბიოლოგიის პრინციპები“. მან დააფიქსირა თავისი დიდი პატივისცემა საგანზე პასუხისმგებელი პროფესორის მიმართ. მაგრამ აღნიშნა, რომ საგნის დასახელება სწორედ მისი კათედრის პროფილს შეესაბამება და გაუგებარია ამ საგნის წასაკითხად სხვა კათედრიდან რატომ არიან მიწვეული პროფესორები. აზრი გამოთქვეს პროფესორებმა ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ბიოქიმიის პროგრამის ანალოგს, ხორციელდებოდა სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე 2015 წლიდან. პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გავლილი აქვს სტაჟირება სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში და შესაბამის კურსებს უძღვებიან საერთო პროგრამის ფარგლებში. ახლა ეს პროგრამა გადმოვიდა ჩვენთან და მასში მინიმალური ცვლილებებია შეტანილი. ამერიკული აკრედიტაციის მისაღებად წინასწარ მიმდინარეობდა მუშაობა და აკრედიტაციის მიღების ერთ-ერთი წინაპირობაა ის, რომ პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობა მიიღონ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გადამზადებულმა პროფესორებმა.

პროგრამის ხელმძღვანელმა გ.ჯიბუტმა პროფ.ნ.კოტრიკაძის მიერ გამოთქმული პრეტენზია უადგილოდ მიიჩნია, რადგან პროგრამაში შესული შესწორებით დაზუსტდა ამ საგნის დასახელება (სილაბუსის შეცვლის გარეშე). საგნის ახალი დასახელებაა „ზოგადი ბიოლოგია“. გარდა ამისა, იგი კატეგორიულად არ ეთანხმება პროფესორების ჩანაცვლების იდეას აკრედიტაციის ინტერესიდან გამომდინარე.

პროფესორმა ა.შენგელაიამ აღნიშნა, რომ თუ სან დიეგოს უნივერსიტეტის პროგრამები განხორციელდება თსუ-ში, შესაბამისი დეპარტამენტები აუცილებლად უნდა იყოს ჩართული ლექტორების შერჩევაში.

პროფესორმა ნ.დორეულმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტზე ბევრია კვალიფიციური პროფესორები, რომელთაც არ გაუვლიათ სტაჟირება სან-დიეგოში.

პროფესორმა ნ.შათაშვილმა კომპრომისული წინადადება შესთავაზა საბჭოს წევრებს და პროგრამის ხელმძღვანელს. მან აღნიშნა, რომ არაფერი დაშავდება, თუ ბიოლოგიის დეპარტამენტიდან სხვა ლექტორიც დაემატება პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო პერსონალის სიას. აღნიშნული წინადადება მისაღები აღმოჩნდა ყველასათვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი პროგრამის დამტკიცების საკითხი. ამასთან აღნიშნა, რომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში დადგენილება ძალაში შევა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აკადემიური საბჭო გადაწყვეტს, რომ პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს ასისტენტ-პროფესორმა. ამასთან, აკადემიურ საბჭოს განსახილველად წარუდგენენ გასწორებულ პროგრამას, სადაც ბიოლოგიის დეპარტამენტთან კონსულტაციის საფუძველზე შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი პროფესორი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 3.

დაადგინეს: ა) დამტკიცდეს ქიმიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილი სახით; ბ) გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მას შემდეგ, რაც აკადემიური საბჭო გადაწყვეტს, რომ პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს ასისტენტ-პროფესორმა.

3. მოისმინეს: დღის წესრიგის მესამე საკითხი - ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულების დამტკიცება. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. დოქტორანტურის დებულება წინასწარ დაეგზავნათ საბჭოს წევრებს (იხ. დანართი 3). ბატონმა რამაზმა ფაკულტეტის საბჭოს წევრებს გააცნო პროფესორების - დ.ძიძიგურისა და ნ.შათაშვილის შენიშვნები. განხილვის შემდეგ საბჭოს წევრები დაეთანხმნენ შენიშვნებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება შემოსული შენიშვნების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დოქტორანტურის დებულება (იხ. დანართი 3).

4. მოისმინეს: დღის წესრიგის მეოთხე საკითხი - სან დიეგოს საკომპენსაციო სახსრებიდან ინფრასტრუქტურული ხარჯების გაწევის შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ქვეკონტრაქტის ხელშეკრულების VIII მუხლის თანახმად სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი - საქართველო (SDSU-G) ახორციელებს

ფაკულტეტისთვის საკომპენსაციო თანხების გადახდას როგორც SDSU-G პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალის კომპენსაციის მხრივ, ასევე მომსახურებისა და შესყიდვების თვალსაზრისით, რითაც უკვე არაერთი აქტივობა დაფინანსდა. აღნიშნული ხელშეკრულებაში შესული შესწორების შემდეგ იცვლება ამ თანხების განკარგვის წესი და შესაძლებელი გახდა ამ დაფინანსებით არა მარტო უშუალოდ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ, არამედ ჩვენი ფაკულტეტის სხვა დეპარტამენტებსაც ესარგებლა. ფაკულტეტის ბიოლოგიის დეპარტამენტის საჭიროებების გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ 2019 წელს გადმორიცხული საკომპენსაციო დაფინანსებიდან გამოიყოს 500,000 ლარი ბიოლოგიის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული ხარჯების (ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება და ოთახების რემონტი) დასაფინანსებლად.

ბატონმა რამაზმა აღნიშნა, რომ ასევე ხელშეწყობა სჭირდება გეოგრაფიის დეპარტამენტს. მათ წლის ბოლოდან ჰპირდებიან დაფინანსებას.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ბ.თუთბერიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე წელია დღის წესრიგში დგას გეოლოგიის დეპარტამენტის მიკროსკოპების განახლების საკითხი, ურომლისოდაც შეუძლებელია გეოლოგიის პროგრამების სრულფასოვნად განხორციელება. მან ფაკულტეტის მიმართა თხოვნით, რომ გეოლოგიის დეპარტამენტსაც გამოუყონ თანხა 15000 ლარის ფარგლებში რამოდენიმე მიკროსკოპის შესაძენად. ბატონი რამაზი შეჰპირდა მოთხოვნილი თანხის გამოყოფას, ოღონდ წლის ბოლოსთვის. პროფესორმა ა.შენგელაიამ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია სან დიეგოს უნივერსიტეტიდან გადმორიცხული თანხები დაიხარჯოს მრავალფუნქციური ლაბორატორიების /ხელსაწყოების შესაძენად, რომლითაც მეტი მომხმარებელი ისარგებლებს და არ მოხმარდეს წვრილმანებს.

სხდომის თვმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკომპენსაციო თანხების განკარგვის საკითხი პროფესორ ბ.თუთბერიძის წინადადების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს:

ა) სან დიეგოს მიერ გადმორიცხული საკომპენსაციო თანხებიდან გამოიყოს 500,000 ლარი ბიოლოგიის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურული ხარჯების (ლაბორატორიების აღჭურვილობის განახლება და ოთახების რემონტი) დასაფინანსებლად;

ბ) სან დიეგოს მიერ გადმორიცხული საკომპენსაციო თანხებიდან გამოიყოს 15000 ლარი გეოლოგიის დეპარტამენტის მიკროსკოპების შესაძენად;

გ) მომდევნო ტრანშიდან გამოიყოს თანხები გეოგრაფიის დეპარტამენტის საჭიროებებისათვის.

5. მოისმინეს: დღის წესრიგის მეხუთე საკითხი - აკადემიური და მოწვეული პერსონალის თვითშეფასების კითხვარების შესახებ. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭომ თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N78/2018 და N81/2018 დადგენილებებით დამტკიცებული უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების წესისა და უნივერსიტეტის პერსონალის შეფასების წესის შესაბამისად განიხილა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარები. კითხვარებში წარმოდგენილ 2018 წლის სასწავლო, სამეცნიერო და სხვა საქმიანობის ანალიზზე დაყრდნობით, ზუსტ და

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული აქტივობების შეფასების შედეგად დაიგეგმა მათი სხვადასხვა კატეგორიების ხელფასებით და ანაზღაურებებით დაკმაყოფილება, კერძოდ:

1) აკადემიური დატვირთვების შესრულების შესაბამისად და აგრეთვე შესრულებული სერვისების (სასწავლო კურსის მომზადება-განახლება, სილაბუსის შედგენა განახლება, ელექტრონული სასწავლო კურსის მომზადება, სასწავლო პროექტებში მონაწილეობა, სამეცნირო კონფერენციებში და სამეცნიერო-საგრანტო პროეტებში მონაწილეობა, სხვადასხვა საუნივერსიტეტო თუ საფაკულტეტო საბჭოების, ჯგუფების და კომისიების მუშაობაში, პროგრამების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობაში მონაწილეობა) ოდენობის მიხედვით მოხდა აკადემიური პერსონალის სახელფასო კატეგორიების მიხედვით გადანაწილება.
2) შეფასდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ იმპაქტ-ფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები და გაიცემა შესაბამისი ანაზღაურება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ 2018 წელს შესრულებული სამუშაო მთლიანობაში ჩაითვალოს წარმატებულად.

6. **მოისმინეს:** დღის წესრიგის მესამე - მიმდინარე საკითხები. მიმდინარე საკითხებში განხილული იყო საკითხები:
   ა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარდგენის შესახებ;
   ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ;
   გ) დოქტორანტ ნინო ფონჯავიძის შესახებ;
   დ) უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის პერსონალის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება
   ე) ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის ს/კ ინსტიტუტის პერსონალის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება.

ა) საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში წარდგენის შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა. მან საბჭოს წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების (აკადემიის ნამდვილი წევრების) არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორს, ბატონ რამაზ გახოკიძეს. შემდეგ სიტყვა გადასცა კანდიდატს. ბატონმა რ.გახოკიძემ ისაუბრა თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ (იხ. დანართი 4 - პროფესორ რ.გახოკიძის CV).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა ე.ნადარაიამ, ბ.თუთბერიძემ, ო.მუკბანიანმა. მათ ისაუბრეს ბატონი რამაზის დამსახურებებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ და აღნიშნეს,

რომ სიამოვნებით დაუჭერენ მას მხარს. ბატონი ე.ნადარაია დაინტერესდა პროფესორ რ.გახოკიძის ციტირების ინდექსით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე პროფესორ რამაზ გახოკიძისთვის შუამდგომლობის აღძვრის შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: აღიძრას შუამდგომლობა თსუ აკადემიური საბჭოს წინაშე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსების (აკადემიის ნამდვილი წევრების) არჩევნებში პროფესორ რამაზ გახოკიძის კანდიდატურის წარდგენის თაობაზე.

ბ) საბაკალავრო და სამაგისტრო თემების დამტკიცების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა ფიზიკისა და მათემატიკის საბაკალავრო თემების ჩამონათვალი, ასევე თემები ფიზიკის, ქიმიის, მათემატიკის, გეოგრაფიის, გეოლოგიისა და ინფორმაციული სისტემების (კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტი) სამაგისტრო ნაშრომებისთვის (იხ. დანართი 5).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სამაგისტრო და საბაკალავრო თემების დამტკიცების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი სამაგისტრო და საბაკალავრო თემები (იხ. დანართი 5).

გ) დოქტორანტ ნინო ფონჯავიძის საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ ნანა შათაშვილის და მდივნის, ასოცირებული პროფესორის გიორგი ციციშვილის განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ შეფერხდა დოქტორანტ ნინო ფონჯავიძის დისერტაციის საჯარო დაცვის ჩატარება, რადგან ერთ-ერთმა რეცენზენტმა მოითხოვა სადისერტაციო ნაშრომში მიღებული შედეგებისა და კვლევის მასალების პრეზენტაციაში გარკვეული ცვლილებების შეტანა. ამან გარკვეული დრო მოითხოვა. ამჟამად შემფასებლების ყველა ფორმალური მოთხოვნა შესრულებულია, რაც დადასტურებულია მათი რეცენზიებით. ამასთან დაკავშირებით, კომისია მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს შუამდგომლობის გაწევის მოთხოვნით თსუ სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა მსვლელობა მიეცეს ნინო ფონჯავიძის სადისარტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურას (იხ. დანართი 6).

აზრი გამოთქვა: პროფესორმა ნ.შათაშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ აღძრას შუამდგომლობა თსუ სადისერტაციო საბჭოს წინაშე, რათა მსვლელობა მიეცეს ნინო ფონჯავიძის სადისარტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის პროცედურას.

დ) უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის პერსონალის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ნანული კოტრიკაძის განცხადება, რომელშიც იგი ითხოვს ინსტიტუტის პერსონალის განახლებული შემადგენლობის (კერძოდ, მოხდა ცვლილება შემადგენლობაში და 3 სტუდენტი ჩანაცვლდა ახალი 3 სტუდენტით) დამტკიცების საკითხის განხილვას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სურს, რომ ფაკულტეტის საბჭომ სათანადო წერილით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის თანამშრომლების დაინიშვნის შესახებ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე. განცხადებას თან ახლავს ინსტიტუტის თანამშრომელთა სია მათი მოვალეობების მითითებით (იხ. დანართები 7.1-7.3).

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული უჯრედული და მოლეკულური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე (იხ. დანართები 7.1-7.3).

ე) ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის ს/კ ინსტიტუტის პერსონალის განახლებული შემადგენლობის დამტკიცება. საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ასოცირებულმა პროფესორმა ვაჟა ტრაპაიძემ. მან საბჭოს წევრებს გააცნო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორის, ასოცირებული პროფესორის კახაბერ ბილაშვილის განცხადება, რომელშიც იგი ითხოვს ინსტიტუტის პერსონალის შევსებული შემადგენლობის (კერძოდ, არსებულ შემადგენლობას დაემატა ორი ახალი თანამშრომელი) დამტკიცების საკითხის განხილვას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სურს, რომ ფაკულტეტის საბჭომ სათანადო წერილით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ინსტიტუტის თანამშრომლების დაინიშვნის შესახებ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე. განცხადებაში ასევე მოცემული იყო მოკლე ინფორმაცია ინსტიტუტის თანამშრომელთა ძირითადი მოვალეობების შესახებ (იხ. დანართები 8.1-8.3).

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 30, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ შუამდგომლობით მიმართოს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს იმის თაობაზე, რომ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული ოკეანოგრაფიისა და ჰიდროლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები დაინიშნონ შესაბამის თანამდებობებზე ერთი წლის ვადით, ანაზღაურების გარეშე (იხ. დანართები 8.1-8.3).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასისტენტ პროფესორი
თინათინ დავითაშვილი